



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კატაი

კ ა ტ ა ი, დავით IV აღმაშენებლის ასული. სამხრ. კავკასიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნისათვის ბრძოლის პირობებში, ბიზანტიის იმპერიასთან კეთილი დამოკიდებულების დამყარების მიზნით, 1116 მეფემ კ. მიათხოვა იმპ. ალექსი კომნენოსის (1081- 1118) უმცროს ძეს – ისაკს (მანამდე დავითმა თავისი მეორე ქალიშვილი თამარი შირვან შაჰის შვილზე დააქორწინა). ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეცალა თავის სიძე ისაკსა და ალექსი კომნენოსის უფროს ვაჟს – იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში), რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრ.-დას. საზღვრების უსაფრთხოება.

წყარო: ლაშა გომარგის-დროინდელი მემატიანე, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხეჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; მ ი ს ი ვ ე, Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995.

ბ. კუდავა
